უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №53

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 08.10.2019წ
სხდომის დაწყების დრო 16:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო 18:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი
საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია
სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; **(საბჭოს თავმჯდომარე)**
2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; **(საბჭოს მდივანი)**
3. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;
5. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
10. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
11. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე;
12. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
13. ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	პაატა გოგიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	I
2	მაია ჭიჭილეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი, პროფესორი	II, III, IV
3	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	II, III, IV
4	მამუკა ჯორბენაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	II, III, IV
5	ზაზა ხალვაში	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა) - ხელმძღვანელი, პრფესორი	II, III, IV
6	თეიმურაზ კეჟერაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; თოჯინების თეატრის სამსახიობო)“ ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II, III, IV
7	ერმილე მესხია	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	განათლების, ჰუმანიტარულლ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის „კულტურული ტურიზმი“ - ხელმძღვანელი, პროფესორი	II, III, IV

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

8	ნინო მამულაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „კულტურული ტურიზმი“ - ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II, III, IV
9	ნუგზარ სხირტლაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ვიც-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	V
10	დიანა მჭედლიშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	V
11	დავით ნატროშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	V
12	ალუდა გოგლიჩიძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თამარ ვეფხვაძე		II
2	ანა სამსონაძე		II
3	ქეთევან ოჩხიკიძე		II
4	ეკა დევიძე		III
5	ანა მოსემღვდლიშვილი		III
6	ნინო გუნია-კუზნეცოვა		IV
7	მარინა ხარატიშვილი		IV
8	თინათინ გაბრიჩიძე		IV

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 13 ივნისის №34 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №40 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

შუამდგომლობის ინიციატორი: ქეთევან ქოქრაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე

ცვლილების არგუმენტაცია: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №40 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური ცვლილების განხორციელების აუცილებლობა.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №40 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 13 ივნისის №34 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

1. პირველი საკითხი: „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №40 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, **სალომე თოთიბაძეს.**

საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით, სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №40 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ ტექნიკური ცვლილების განხორციელების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №40 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ტექნიკური ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

საბჭოს გადაწყვეტილებით გასწორდა „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საბჭოს 2019 წლის 04 ივლისის №40 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ნაცვლად „ისტორიის მაგისტრისა", ჩამოყალიბდა „საქართველოს ისტორიის მაგისტრის" კვალიფიკაციით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)
2	სტატუსი[2]	ავტორიზებული (2018 წლის 01 აგვისტო); უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბერის №13 გადაწყვეტილებით - 2019 წლის 1 იანვარი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32[2]-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (2020 წლის 01 იანვარი)

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11 დეკემბერი, 2013წ, №212; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №08 – 2013 წლის 16 სექტემბერის №13
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების (დრამატული თეატრის რეჟისურა; დრამისა და კინოს სამსახიობო; თოჯინების თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის სამსახიობო)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0804
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, 6004 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №37
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----------„

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

---

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

_____

ხელმოწერა

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა იყო რეაკრედიტაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებების თანხლებით, რადგან 2013 წლის შემდეგ შეიცვალა მისი სახელწოდება რომელიც მანამდე გახლდათ „საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება", რაც წარმოდგენილთან ერთად მოიცავდა დრამატული თეატრისა და თოჯინების თეატრის რეჟისურას.

16:18 საათზე სხდომას შემოუერთდა თეა მჭედლური.

ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი კონცენტრაციით: დრამისა და კინოს სამსახიობო და დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო. მისი განმარტებით, აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტთა და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა 2019 წლის 26 აგვისტოს. ჯგუფის წევრებს 2019 წლის 22 აგვისტოს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეკვეთათ ძირითადი საკითხები. მისი თქმით, ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ ვითარებაში, ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ყველა რგოლის წარმომადგენელს: საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერს, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ექსპერტის თქმით, წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა კიდევ უფრო ნათელყო თვითშეფასებაში დაფიქსირებული ასპექტები.
რაც შეეხება პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას, პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, მეორე და მეოთხე - მეტწილად შესაბამისი. მან ხაზი გაუსვა საგანმანათლებლო პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას, კერძოდ, იმას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი პრაქტიკულ შემოქმედებით პროცესში, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების განვითარების კუთხით. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული დადასტურდა სამუშაო ჯგუფის ინტერვიუების დროსაც. მან ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დასავლეთ საქართველოში სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი არის ერთადერთი დაწესებულება, რომელიც დასავლეთ საქართველოს რეგიონის თეატრებისთვის (ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის, ხულოს თეატრები) უზრუნველყოფს მსახიობების მომზადებას. აგრეთვე, ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკების რეჟიმში ეზიარონ თეატრალურ სამსახიობო ხელოვნებას და გაიარონ რამდენიმე ეტაპი: სცენის განათება, სცენაზე გასვლა და სამსახიობო კარიერა. აღნიშნული სკოლა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საუკეთესო პრაქტიკა ჩანს იმაშიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა 95% დასაქმებულია პროფესიით. დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ენდობიან და ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, მათთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია ის პროდუქტი, რა სახითაც თეატრში შედის კურსდამთავრებული.

საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვალა რამდენიმე სერიოზული ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის სასწავლო კურსების დამატება: მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა, გახმოვანების ოსტატობა, ქართული კინოს ისტორია და აღმოსავლეთის თეატრის ისტორია. მისი განმარტებით, სასწავლო კურსების დამატება, საუკეთესო პრაქტიკაა, რადგან ცვლილება განხორციელდა სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე, რაც მათი გამოკითხვის შედეგად გახდა ცნობილი. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა სავალდებულო ინგლისური ენის გარდა, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია არჩევით სასწავლო კურსებად არსებული იტალიური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების დამატება (B1 და B2 დონეები).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტის შეფასების უწყისი ასახავდეს საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში მითითებული კომპონენტების ჩამონათვალს და მათ ქულობრივ შეფასებას;
2. მაქსიმალური ოპერატიულობით დამუშავდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა, სადაც სასწავლო კურსების შეფასების უწყისებში ნათლად აისახება შეფასების დიფერენცირებული სისტემა. მისი განმარტებით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული ბაზა, თუმცა ის ასახავს მხოლოდ პირველკურსელთა აკადემიურ მოსწრებას სატესტო რეჟიმში. შესაბამისად, რეკომენდებულია სტუდენტთა სრული რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ ბაზაში ასახვა, რასაც უნივერსიტეტი სასწავლო წლის დაწყებიდან გეგმავს;
3. ასევე რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდეს სწავლის შეფასების შესაბამისი ფორმები: უწყისი, ჟურნალი და შემოწმდეს პედაგოგების მიერ მათი შევსების სისწორე, რაც ასევე, დაკავშირებული იქნება ელექტრონულ ბაზასთან;
4. გარდა ამისა, რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პროცედურას, კომისიური შეფასების ფორმას და სტუდენტის შეფასებას ცალკეული კრიტერიუმების გათვალისწინებით;
5. ასევე, სასურველია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტი გეგმავს ცალკეული ნაბიჯების გადადგმას;
6. შემდეგი რეკომენდაციაა ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელთან ერთად პრაქტიკოსი მსახიობის სახით ჰყავდეს თანახელმძღვანელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის დამსახურებული პიროვნება, რომელმაც გამნათებლის კარიერიდან დაიწყო და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა, თუმცა ის პროფესიით ხელოვანი არ გახლავთ;
7. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კონკრეტულად აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის რეალური ბიუჯეტი, რადგან ის პრაქტიკულად ძვირი პროგრამაა;
8. ასევე, რეკომენდებულია, ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის გარე შეფასების მექანიზმების გააქტიურება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებო პროგრამის ხელმძღვანელმა, თეიმურაზ კეჟერაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისათვის და აღნიშნა, რომ მათ განიხილეს რეკომენდაციები და მათთვის ისინი მისაღებია.

მისი განმარტებით, რამდენიმე მათგანი უკვე შესრულებულია: საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელად დაინიშნა თამაზ ბოლქვაძე, რომელიც პროფესიით რეჟისორია. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ შემოქმედებითი ტურები უნივერსიტეტში ტარდება

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

კომისიური წესით, კურიკულუმში გაწერილია შეფასება, ელექტრონულ ჟურნალზე მუშაობა დაწყებულია და ყველაფერი იქნება ასახული ელექტრონულ ბაზაში. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თითქმის ყველა რეკომენდაცია დაკავშირებულია ელექტრონულ ბაზასთან და ისინი ამ კუთხით მუშაობენ.

დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რამდენად თვითკმარია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის სტუდენტებისაგან მიღებული შემოსავალი, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სუბსიდირება ხდება და უნივერსიტეტს აქვს ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელია ის სეგმენტი, რომელზეც არ კმარა ბიუჯეტის თანხა, ანუ რა არის რეალური თანხა, რაც სჭირდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და რა თანხაა ფაქტობრივად ბიუჯეტში, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სუბსიდირება ხდება. სტუდენტებისაგან მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი. ძირითადი თანხა, ხელფასების გარდა, იხარჯება საკურსო (მესამე კურსი) და სადიპლომო (მეოთხე კურსი) სპექტაკლებზე. კურსის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული თუ რა რაოდენობის თანხა გაიწერება სპექტაკლის დადგმისთვის. მისივე განმარტებით, ეს შეიძლება იყოს პირობითად 500 ან 1000 ლარი ან სრულიად არაფერი, რაც დამოკიდებულია საჭიროებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, ხარისხიანი პროდუქტის მისაღებად საჭიროა ძვირადღირებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

დაწესებულების წარმომდგენელმა განმარტა, რომ ისინი ყოველწლიურად ადგენენ სამუშაო გეგმას თავისი ხარჯებით, კურსის ხელმძღვანელი პირველი სასწავლო წლის შემდეგ განსაზღვრავს საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების ხარჯებს, რის დასადგენადაც ის ადმინისტრაციასთან ერთად მუშაობს.

საბჭოს თავმჯდომარემ არჩევით საგანთან „სამართლებრივი აქტები კულტურულ სფეროში" დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს ურჩია სილაბუსის გადახედვა. მისი თქმით, კარგი იქნება თუ სახელწოდება მოერგება და დაემსგავსება სასწავლო დისციპლინის სახელწოდებას, ასევე, სასურველია რიდერების გაკეთება, რადგან ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში მხოლოდ ნორმატიული აქტებია მითითებული. მისი მოსაზრებით, მსახიობებს თუ რეჟისორებს უნდა ასწავლიდნენ ძირითად პრინციპებს, რადგან კანონები ხშირად იცვლება და ამიტომ, უპრიანია სწავლის სხვა რაკურსით წარმართვა.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა მე-4 რეკომენდაციით, რაც საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას უკავშირდება, არის თუ არა უნივერსიტეტის ახალ შენობაში უზრუნველყოფილი შესაბამისი პირობები სპექტაკლის დასადგმელად და სადიპლომო ნაშრომის დასაცავად, როგორც დრამის ასევე თოჯინების თეატრის მიმართულებით. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა ჯგუფში ქულების დაწერა, რეკომენდაციის გათვალისწინებამდე და როგორ ხდება შეფასება ამჟამად, რა გეგმებია ამ მიმართულებით?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ აქვთ საკომისიო წესით სადიპლომო ნაშრომების შეფასების სისტემა: სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება კომისია, დასავლეთ საქართველოს თეატრებიდან იწვევენ სამხატვრო ხელმძღვანელებს, რაც მათ ხელს უწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებაში. დამსაქმებლები საქმის კურსში არიან თუ რა რესურსი აქვს უნივერსიტეტს. შეფასება ხდება საკომისიო წესით, ფასდება თითოეული შემსრულებელი, განიხილება თავად სპექტაკლის სტრუქტურა და ის, თუ როგორ არის გახსნილი თითოეული პერსონაჟის სახე, რისთვისაც გაწერილია შეფასების კრიტერიუმები და თითოეული სტუდენტი ფასდება ინდივიდუალურად. რაც შეეხება ბაზას, მისი თქმით, უნივერსიტეტს აქვს სასწავლო თეატრის ბაზა, სადაც ამჟამად ამონტაჟებენ ტექნიკურ საშუალებებს (განათება, ხმა და ა. შ).

ექსპერტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის ბაზა ნამდვილად იმსახურებს მაღალ შეფასებას. ვიზიტის განმავლობაში, ექსპერტებმა დაათვალიერეს სასწავლო თეატრი, სადაც სცენა გათვლილია 100

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

მაყურებელზე, აქვთ სარეპეტიციო აუდიტორიები, ქორეოგრაფიული სტუდია, სადაც სარკეები უკვე დამონტაჟებულია და უნივერსიტეტის წარმომადგენლები მობილიზებულნი იყვნენ, რომ სასწავლო წლის დასაწყისისთვის დაესრულებინათ სამუშაოები. ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტს აქვს ისეთი ინტერიერი და ექსტერიერი, რომ მისი დემონსტრირება შეიძლება ნებისმიერი კომისიისათვის. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ კურიკულუმით წარმოდგენილია ყველა აქტივობა, რის მიხედვითაც ხელოვანი ფასდება არა მხოლოდ დამამთავრებელი ნაშრომის საფუძველზე, არამედ ზოგადად, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია იყო ყოველივე ამის უწყისებში ასახვა.

16:40 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო ლიპარტია.

მისი თქმით, თითოეული ინდიკატორის გამოთვლა ძალიან დიდ შრომას მოითხოვს და უნივერსიტეტი ახორციელებს შეფასებასაც, თუმცა უწყისებში ეს არ იყო ასახული. შესაბამისად, მათი რეკომენდაცია გახლდათ უწყისების მწყობრში მოყვანა, როგორც მიმდინარე, ასევე დამამთავრებელი ნაშრომების შეფასებისას, მეტი გამჭვირვალობის მიზნით.
როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ახალ სილაბუსში ყველაფერი ეს გაწერილია.
საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა ბოლო სემესტრში გაწერილ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარეობს თეატრებში, იყო თუ არა გათვალისწინებული ხელშეკრულება, რადგან კრედიტების რაოდენობა სამართლიანად არის გამოყოფილი და სტუდენტები სამსახიობო ხელოვნებაში პრაქტიკას გადიან სწორედ ამ თეატრებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ბათუმის დრამატულ თეატრთან და ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრთან მათ აქვთ გაფორმებული მემორანდუმი, სადაც მათმა სტუდენტებმა გაიარეს პრაქტიკები. მისი თქმით, წინა საგანმანათლებლო პროგრამაზე პრაქტიკისათვის გამოყოფილი იყო მხოლოდ 2 კრედიტი, რომელიც გაზარდეს და ამჟამად პრაქტიკის კომპონენტისათვის გაწერილა 5 კრედიტი. მისი განმარტებით, პრაქტიკა არის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი ჩართულია შემოქმედებით სასწავლო პროცესებში, პრაქტიკის დროს თეატრში ხდება უშუალოდ მსახიობის მუშაობაზე დაკვირვება და ტექნიკურ - შემოქმედებითი პროცესების გაცნობა. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ბათუმის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას თეატრთან ურთიერთობას უადვილებს. პრაქტიკის ხელმძღვანელს ადმინისტრაცია ნიშნავს, ასევე არსებობს პრაქტიკის დღიური და ამ ყველაფრის შემდეგ ხდება სტუდენტის საბოლოო შეფასება.
პრაქტიკასთან დაკავშირებით, ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ პრაქტიკის დღიურებში გაწერილია ყველა აქტივობა და ეს სეგმენტი საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარედ იქნა მიჩნეული.
საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, ხომ არ სჯობდა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის გაზრდა, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ უკვე გაზარდეს პრაქტიკისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა 2-დან 5 კრედიტამდე. რაც შეხება პრაქტიკის პერიოდს, მისი თქმით, სტუდენტები პრაქტიკას გადიან თეატრში, ბოლო - მე-8 სემესტრში, სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის პარალელურად. მან ასევე აღნიშნა, რომ მათმა სტუდენტებმა, 3 წლის წინ, სადიპლომო სპექტაკლი დრამატულ თეატრში დადგეს.
საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა ასევე დაამატა, რომ მთლიანი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პრაქტიკაზე.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 16:47სთ
დამთავრების დრო 16:57სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)"

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)
2	სტატუსი[11]	ავტორიზებული (2018 წლის 01 აგვისტო); უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბერის №13 გადაწყვეტილებით - 2019 წლის 1 იანვარი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (2020 წლის 01 იანვარი)
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11 დეკემბერი, 2013წ, №212; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №08 – 2013 წლის 16 სექტემბერის №13
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების (დრამატული თეატრის რეჟისურა; დრამისა და კინოს სამსახიობო; თოჯინების თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის სამსახიობო)

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

5	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[14]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	„-----„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
10	კვალიფიკაციის კოდი[16]	0804
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო, 6004 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №37
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----------„

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

3. მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	კულტურული ტურიზმი
2	სტატუსი[20]	ავტორიზებული (2018 წლის 01 აგვისტო); უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბერის №13 გადაწყვეტილებით 2019 წლის 1 იანვარი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 32²-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (2020 წლის 01 იანვარი)
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11 დეკემბერი, 2013წ, №209; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №08 – 2013 წლის 16 სექტემბერის №13
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი
5	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[23]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	„----------“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
10	კვალიფიკაციის კოდი[25]	1120
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო, 6010 ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა №37
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------“

---

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----------„

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტი 2 სექტემბერს, კონსტრუქციულ ვითარებაში განხორციელდა და გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, კულტურული ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, მკაფიოდ აღიწეროს ის ცოდნა და უნარები, რომელსაც სტუდენტი იძენს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას, ასევე იყოს უფრო კონკრეტული და გაზომვადი;
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა მოვიდეს სტანდარტებთან შესაბამისობაში;
3. რეკომენდებულია „კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები აისახოს იერარქიული საფეხურების დაცვით: საბაზისოდან რთულისკენ. მაგალითად, „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები" სტუდენტებს პირველივე კურსზე შესთავაზონ, „ტურიზმის მენეჯმენტი" - მე-3 ან მე-4 კურსზე და ა.შ.;
4. ასევე, რეკომენდებულია, გადამოწმდეს სასწავლო კურსის „ბიზნესის საფუძვლები" სახელწოდება და შინაარსი. სილაბუსის ავტორთან შეთანხმდეს ლიტერატურის სასწავლო კურსის კურიკულუმში ასახვის მიზნობრიობასთან დაკავშირებული საკითხი;

---

[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

5. რეკომენდებულია, გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე ჩარიცხვის წინაპირობები და შესაბამისად, განისაზღვროს სასწავლო კურსისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
6. რეკომენდებულია, კურიკულუმში სწორად გაიმიჯნოს და აისახოს სპეციალობის ძირითადი სავალდებულო არჩევითი და იმავდროულად საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო ძირითადი სავალდებულო არჩევითი და დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსები;
7. რეკომენდებულია, ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის წახალისება, სტუდენტთა ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება. ასევე, მიზნებისა და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად „კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში დამატებითი კადრების, დარგის მიმართულების სპეციალისტების თეორიული და პრაქტიკული უნარების კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობის გაზრდა;
8. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალისათვის კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და სამეცნიერო პროექტებში ჩართულობის გაზრდა.

რაც შეეხება რჩევებს, ექსპერტის თქმით, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების, დამსაქმებლებისა და სტაჟირების განმახორციელებელი ობიექტების წარმომადგენლებთან უფრო მეტი კოორდინაცია და თანამშრომლობა.

სასურველია, ბიბლიოთეკის ფონდის როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა საგანმანათლებლო პროგრამა და უშუალოდ ლიტერატურა უფრო მეტად პასუხობდეს ნ. თ-ს დარგის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სასურველია, სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში დაინტერესებული და მოტივირებული სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობის წახალისება. შეფასების გამჭვირვალობის მიზნით ელექტრონული პორტალის სისტემის დანერგვა და ასევე, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უფრო მეტად სიღრმისეული ანალიზის გაკეთება, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ სტრატეგიულ განვითარებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი უკვე გაზიარებულია და დაწყებულია მისი განხორციელება. მისი განმარტებით, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, თვითშეფასების ანგარიშს დაურთეს სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა, სადაც გაწერილი აქვთ ის გამოწვევები, რის წინაშეც დგას საგანმანათლებლო პროგრამა, კონკრეტულად კი, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად იყოს რეალიზებული ინტერნაციონალიზაციის პროცესი, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე - სტუდენტთა ჩართულობის მხრივ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წინა საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარებით ახალი საგანმანათლებლო პროგრამა თვისებრივად შეიცვალა, რაც ასევე ასახავს ინტერნაციონალიზაციის პროცესს. კერძოდ, დაემატა უცხო ენების საგნები. წინა საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებობდა ინგლისური ენის 10 კრედიტიანი კურსი, რომელიც გაიზარდა 20 კრედიტამდე. საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანად გადახალისდა, დაემატა მეორე არჩევითი უცხო ენის სასწავლო კურსი: გერმანული, ფრანგული, იტალიური, რუსული და თურქული ენები, რომელთა სილაბუსების დართვა თვითშეფასების ანგარიშისათვის ვერ მოესწრო, თუმცა ამ ეტაპისთვის ისინი უკვე მზად არის. მისი განმარტებით, სავალდებულოა, ჯგუფმა აირჩიოს მეორე არჩევითი უცხო ენა.

ასევე, რეკომენდაციის საფუძველზე საგნები გადაადგილდა. რაც შეეხება ლიტერატურას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ლიტერატურის განახლება მუდმივი პროცესია, ისინი ეძებენ და ყიდულობენ მას. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კი, რომელთანაც გაფორმებული აქვთ მემორანდუმი, აქსეროქსებენ წიგნებს და ზოგადად, ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. ელექტრონულ რესურსებთან დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწყებულია მუშაობა. პირველი კურსი შეყვანილია ელექტრონულ ბაზაში, სადაც ასევე იხილავთ მე-2 სასწავლო წლის მონაცემებს, მე-4 სასწავლო წლის უწყისების შეტანა კი უკვე დასრულების ეტაპზეა.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომდგენლის განმარტებით, 2017 წლიდან, (როდესაც ჯერ კიდევ არ იყო სტანდარტებით მოთხოვნილი), მათ მუშაობა დაიწყეს დამსაქმებლებთან და ტურიზმის დეპარტამენტთან, რომელთა ერთ-ერთი რეკომენდაცია გახლდათ უცხო ენების გაძლიერებულად სწავლება და სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარება. მათი რეკომენდაციის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტებისთვის უნდა მიეწოდებინა ისეთი სასწავლო კურსები, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ მათ დაეხმარებოდა ტურისტულ კომპანიებში დასაქმებასა და თემატური ტურების მომზადებაში. ამ მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აგრძელებს მუშაობას. მიმდინარეობს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობის პროცესიც. რაც შეეხება, აკადემიური პერსონალის მიღებას, შარშან უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ საკონკურსო პირობაში სავალდებულო მოთხოვნად ჩაწერა ინგლისური ენის ცოდნა, დღეს ეს პერსონალი აგრძელებს მუშაობას.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათი მოწვეული პერსონალი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები არიან, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას და აქვთ შესაძლებლობა ინგლისურ ენაზე მოამზადონ სილაბუსები 50-60 კრედიტამდე, რაც ხელს შეუწყობს მათ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოებთან მიმართებით გარკვეულწილად იზიარებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას, თუმცა მისი განმარტებით, მაგალითად, „მენეჯმენტის საფუძვლებში" 2008-2009 წლის სახელმძღვანელოები საკმაოდ მოძველებულია, რადგან ეს დარგი საკმაოდ სწრაფად განახლებადია და შესაბამისად, სასურველია ამ მიმართულებით სილაბუსების განახლება, მითუმეტეს, რომ 2009 წლის შემდეგ არაერთი წიგნი გამოიცა ამ მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ „სამართლებრივი აქტების" სასწავლო კურსთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ სილაბუსის სტრუქტურა უცნაურია და საჭიროებს გადახედვას. ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 6 კანონი, რაც არც ზოგადად და არც ამ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის არ არის გამოსადეგი.
საბჭოს წევრის აზრით, ოქროცვალიძის ავტორობით გამოცემული წიგნიდან „ტურიზმის იურიდიული სამართლებრივი ბაზა" მოტანილია მხოლოდ IV თავი და ტერმინთა ლექსიკონი, რაც მასალის შესასწავლად არ არის საკმარისი. მისი რჩევაა, სილაბუსის ავტორის მიერ გაკეთდეს რიდერები, სადაც თავი მოეყრება ამ სამართლებრივი აქტების შინაარს. ასევე, მისი თქმით, სასურველია დაემატოს რამდენიმე კონვენცია, მაგალითად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", ევროპული კონვენციები თუ ევროპული დირექტივები, რომელთა კანონში ასახვა და კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე გვევალება. რაც შეეხება სილაბუსის კვირის თემის მიხედვით ლიტერატურის გაწერას, მაგალითად, ტურისტული ქარტიის თემას არ აქვს გაწერილი საკითხავი ძირითადი ან დამატებითი ლიტერატურა. საბჭოს წევრის მოსაზრებით, სასურველია მთლიანი სილაბუსის თავიდან მომზადება იმ პირის მიერ, რომელსაც ამ კუთხით აქვს კვლევა განხორციელებული.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი ნაწილობრივ დაეთანხმა საბჭოს წევრს და თქვა, რომ ისინი აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსს გადახედავენ და შეასწორებენ.

სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო 17:13სთ

დამთავრების დრო 17:28სთ

17:24 საათზე საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე შემოუერთდა სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	კულტურული ტურიზმი
2	სტატუსი[29]	ავტორიზებული (2018 წლის 01 აგვისტო); უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბერის №13 გადაწყვეტილებით - 2019 წლის 1 იანვარი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (2020 წლის 01 იანვარი)
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11 დეკემბერი, 2013წ, №209; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №08 – 2013 წლის 16 სექტემბერის №13
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

5	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[32]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	„-------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
10	კვალიფიკაციის კოდი[34]	1120
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო, 6010 ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა №37
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„---------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	„---------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„---------„

[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	„აუდიოვიზუალური ხელოვნება“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)
2	სტატუსი[38]	ავტორიზებული (2018 წლის 01 აგვისტო); უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბერის №13 გადაწყვეტილებით - 2019 წლის 1 იანვარი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 32²-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (2020 წლის 01 იანვარი)
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11 დეკემბერი, 2013წ, №205; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №08 – 2013 წლის 16 სექტემბერის №13
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	„აუდიოვიზუალური ხელოვნება“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[41]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	„-------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიო - ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება
10	კვალიფიკაციის კოდი[43]	0801
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

---

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

13	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო, 6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №37
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	„----------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----------„

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ისინი იმყოფებოდნენ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით სამ კაციანი ჯგუფის შემადგენლობით. საგანმანათლებლო პროგრამამ 2013 წელს მოიპოვა აკრედიტაცია, რის შემდეგაც განხორციელდა გარკვეული ცვლილებები:
1. სპეციალობის საერთო სასწავლო კურსებს დაემატა: შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში, სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში და რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა;
2. ასევე, კინო-ტელე მხატვრობის საფუძვლების სასწავლო კურსი გახდა 7 კრედიტიანი, რომლის შედეგები თავად იხილეს და რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე;
3. კურსი „საოფისე კომპიუტერული პროგრამები" სპეციალობის ძირითადი ბლოკიდან გადავიდა საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებში, ხოლო „მეტყველების საფუძვლები და ფერმცოდნეობა" გადავიდა საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში. შესაბამისად, გათავისუფლდა გარკვეული კრედიტები, რომელიც სასწავლო კურსებისთვის იყო გამოყენებული. ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სტუდენტების,

[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და დასაქმების ბაზრის კვლევა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა კურიკულუმში დამატებული კურსები.

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, „აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შემოქმედებითად აქტიური თვითმყოფადი ხელოვანი, რომელიც კინო-ტელე ინდუსტრიაში იმუშავებს კინო ან ტელერეჟისორად, გამოავლენს რა კინო-ტელერეჟისურის პრაქტიკულ უნარებს და შეძლებს შემოქმედებითი პროდუქციის შექმნა-წარმოების მთელი ციკლის მართვას. ექსპერტის განმარტებით, დასავლეთ საქართველოს ბაზარზე კინო ინდუსტრიის მზარდ მოთხოვნებს ეს საგანმანათლებლო პროგრამა თავისუფლად აკმაყოფილებს, რაც იქიდან ჩანს, რომ კურსდამთავრებულთა 85% პროფესიითაა დასაქმებული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 30 აგვისტოს, მანამდე, 27 აგვისტოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჰქონდათ სამუშაო შეხვედრები თვითშეფასების დოკუმენტის განსახილველად და მეთოდოლოგიების ჩამოსაყალიბებლად. ვიზიტის დღეს, დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა ჯგუფთან, შედგა შეხვედრა და ინტერვიუები. ექსპერტის თქმით, შეხვედრების ატმოსფერო იყო კეთილგანწყობილი და პროფესიონალური, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა მოახდინეს კარგი შთაბეჭდილება.

რაც შეეხება პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას, პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად მოთხოვნებთან, მეორე და მეხუთე - მეტწილად შესაბამისად. მან ხაზი გაუსვა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელმაც დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ექსპერტთა ჯგუფზე. გარდა შენობისა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და არაჩვეულებრივად არის გარემონტებული, სივრცეებიც ძალიან კარგადაა მოწყობილი, შენობაში არის საკონცერტო, თეატრალური და კინო დარბაზები, ასევე მოწყობილია სტუდიები. აჭარის რესპუბლიკის მთავრობის მიერ შეძენილია თანამედროვე ტექნიკა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკას, ის, ექსპერტის თქმით, ყველაზე მეტად გამოიხატება „საწარმოო პრაქტიკის" კურსში, რომლის ხანგრძლივობა 2 სემესტრია 5-5 კრედიტის რაოდენობით. ამ კურსის შედეგად სტუდენტი იღებს იმ კვალიფიკაციას, რომელიც აქვთ კურსდამთავრებულებს.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ:

1. სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების შესაბამისად უნდა შემუშავდეს;

2. შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სწავლის შეფასების დოკუმენტაცია ანუ შემუშავდეს უწყისების ფორმები: შეფასების რუბრიკებში თითოეული კომპონენტის ქულები გაიწეროს რანჟირებულად, ამის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

ა) აბიტურიენტების შემოქმედებითი ტურის შეფასების კომპონენტებთან უწყისის შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების, სემესტრული გამოცდის შეფასების კომპონენტებთან უწყისის შესაბამისობაში მოყვანა;

გ) საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კომპონენტებთან უწყისის შესაბამისობაში მოყვანა.

ასევე, სასწავლო პრაქტიკის კურსისთვის დღიურების წარმოების წესი შემუშავდეს და გაკონტროლდეს მისი განხორციელების პროცესი;

3. რეკომენდებულია, სპეციალობის ძირითადი კურსების, (ტელერეჟისურის ოსტატობა, კინომონტაჟი და ა.შ) კრედიტების გადანაწილების სქემის მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნა, რაც იქნება აუცილებელი თემატური ტექნიკური სირთულის შინაარსობრივი სიღრმისა და პრაქტიკული სამუშაოებისათვის გამოყოფილი კრედიტების ცვალებადობის ლოგიკური მტკიცებულება;

4. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცესში უნივერსიტეტმა გაზარდოს აკადემიური პერსონალის ინფორმირების დონე და ჩართულობა;

5. ბოლო რეკომენდაციაა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში მოხდეს კოლეგიური შეფასება და საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ანალოგებთან დადარება, ასევე სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელთა პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ზაზა ხალვაშმა აღნიშნა, რომ საშემსრულებლო მიმართულებას ახლავს ინდივიდუალიზმი, მათ პრაქტიკოსებს თავიანთი მხატვრული ხერხი აქვთ, რის დამკვიდრებასაც ცდილობენ, ამიტომ სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროდ მიიჩნიეს კინომხატვრობის მიმართულებით გაძლიერებულიყვნენ.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ის ძალიან ამაყობს, რომ არსებობს ტერმინი „ბათუმური კინოსკოლა". რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მაგისტრატურის დონეზე სტუდენტმა უნდა დაწეროს ესეი, სადაც უნდა ახსნას თუ რატომ და როგორ გადაიღო ვიდეო, რის ვალდებულებასაც ბაკალავრიატის დონეზეც გეგმავენ.
რაც შეეხება პრაქტიკას, ბათუმში არსებობს სამი ტელევიზია, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს პრაქტიკების გავლაში. კინოს მიმართულების მხრივ ხელოვანები ქმნიან სტუდიებს. მისი თქმით, მან თავად შექმნა ასეთი სტუდია, სადაც სტუდენტები მუშაობენ. სატელევიზიო სივრცემ კი დასაქმების კუთხით დიდი შესაძლებლობა მისცა სტუდენტებს, რაც იმით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია სწორედ აჭარის ტელევიზიაში. ის კვალიფიკაციები, რასაც სტუდენტები იღებენ მაგალითად მონტაჟში, საოპერატორო ოსტატობაში და სატელევიზიო გადაცემების რეჟისურაში, ეხმარება მათ პრაქტიკული კუთხით იმუშაონ ტელევიზიაში და მოემზადონ დიდი შემოქმედებისთვის. მისი თქმით, ისინი შეეცადნენ თვითშეფასების ჯგუფთან ერთად გაევლოთ აღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები.

დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ იყო ისეთი რეკომენდაცია ან რჩევა, რომელსაც ისინი არ ან ვერ ითვალისწინებდნენ, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი გეგმავენ ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებას, თუმცა აინტერესებს კრედიტებთან მიმართებით ექსპერტთა რეკომენდაციის გაცემის საჭიროების დადასტურება, გეგმაზომიერად მზარდი და კლებადი კრედიტების განსაზღვრასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდებოდა ამ ყველაფრის გამოთვლა. მისი თქმით, მისთვის მნიშვნელოვანია ამ პუნქტის უფრო დეტალურად განსაზღვრა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის აუდიოვიზუალური ხელოვნება დღემდე ასოცირდებოდა მარინა ხარატიშვილთან და ჰკითხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, მისი აზრით, რატომ ვერ გასცდნენ ქართველი რეჟისორები ომისა და ნარკომანიის თემას, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სხვა ცხოვრებით არც გვიცხოვრია და რეალობაა ასეთი.
საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია კვლავ შეეხო „სამართლებრივი აქტების" სასწავლო კურსის სილაბუსს, რომლის სილაბუსის ავტორი სხვა გახლავთ, თუმცა ხარვეზები აღმოჩნდა იგივე და საჭიროა არსებითი ცვლილებების განხორციელება, რადგან სილაბუსის ავტორს არ ჩაუტარებია კვლევები. მისი თქმით, ლიტერატურაც დასახვეწი და განსაახლებელია.
საბჭოს წევრმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს ურჩია, რომ სასურველია „მედია სამართალის" სასწავლო კურსის არჩევით კურსებში დამატება, რათა მომავალმა რეჟისორებმა იცოდნენ სულ მცირე იმ რეგულაციების შესახებ, რომელთანაც მომავალში ექნებათ შეხება, მაგალითად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, სადაც საუბარია გამოხატვის თავისუფლებაზე. მითუმეტეს, რომ აკადემიურ პერსონალად მითითებული ჰყავთ ნ.კ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტელე-რადიო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ეს საგანი ისწავლება და თავისუფლად შეიძლება მისი ადაპტირება, მას წლების განმავლობაში კითხულობდა ნ.კ და იმედია გააგრძელებს კიდევ.
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, სავალდებულოა სამართლებრივი აქტების ცოდნა, საგანს კი უნდა დაერქვას დისციპლინური სახელი და იყოს საუნივერსიტეტო საგანი.
საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა სთხოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა სწავლის გადასახადი, რაზეც მან უპასუხა, რომ გადასახადი შეადგენს 1 500 ლარს. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა საკმაოდ ძვირადღირებულია და მისი აზრით

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

გადასახადი შეუსაბამოდ დაბალია, ასევე, დაამატა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური პერსონალი, მაგრამ, ტექნიკური აღჭურვილობისა და მონტაჟის მიმართულებით გამოიკვეთა, რომ დასამატებელია კომპიუტერული პროგრამები. ის ასევე დაინტერესდა თუ რა პროგრამით მუშაობდნენ ისინი ამ ეტაპზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მათ აქვთ რამდენიმე სამონტაჟო პროგრამა. თავიდან იწყებენ მარტივი პროგრამებით, შემდეგ კი ართულებენ. ახლანდელ ეტაპზე მუშაობენ დავინჩის პროგრამით, კინემატოგრაფიული ლიცენზირებული პროგრამით, რაც გამოსადეგია საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობისთვისაც. ასევე, მისი განმარტებით, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან, რაც იმითაც დასტურდება, რომ მათ დაუკავშირდა დიდი კოპოლას ოჯახი, ქრისტეფორ კოპოლა ჩამოდის მათთან და სან ფრანცისკოს კინოინსტიტუტთან ერთად აკეთებენ ერთობლივ სტუდენტურ პროექტს. 2020 წლის ზაფხულში ამერიკელი და სხვა ქვეყნის წარმომადგენელი სტუდენტები ჩამოვლენ ბათუმში აღნიშნული პროექტის განმეორების მიზნით. ტექნიკამ კი, რომელიც აჭარის მთავრობამ შეუძინა უნივერსიტეტს, უფრო გაუხსნა გზა სხვა საინტერესო პროექტების მხრივ. მისი თქმით, მათ ასევე აქვთ შემოთავაზები პოლონური (ლოძის და ვარშავის), ასევე უნგრული კინოსკოლიდან, რაც ძალიან საინტერესოა მათთვის.

ექსპერტმა დაამატა, რომ მათ ჰქონდათ რჩევა „აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეალური ბიუჯეტის გაწერასთან დაკავშირებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენლებისთვისაც და დონორებისთვისაც ხარჯთაღრიცხვა გასაგები იყოს. ექსპერტის თქმით, შეძენილი აპარატურა, რომელიც ვიზიტისას იხილეს, ნამდვილად არაჩვეულებრივ მდგომარეობაშია, თუმცა ეს აპარატურა და კომპიუტერული პროგრამები უნდა იყოს განახლებადი. შესაბამისად, უნივერსიტეტს სჭირდება ღირებულების ზუსტი გამოთვლა. რაც შეეხება მონტაჟის პროგრამებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს სამონტაჟო პროგრამების მთელი ბლოკი, თუმცა ეს პროგრამები მუდმივად განახლებადია და რაც წინა წელს იყო საკმაოდ პოპულარული, წელს უკვე არარელევანტურია. მან ასევე ურჩია უნივერსიტეტს, რომ კარგი იქნება, თუ შეიძენენ დავინჩის პროგრამას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დავინჩის პროგრამის გასაღები მოჰყვა იმ პროგრამას, რომელიც უნივერსიტეტმა შეიძინა და რომელიც გახლავთ ყოველწლიურად განახლებადი.

საბჭოს წევრის, ნატო გენგიურის თქმით, სილაბუსში ძალიან კარგად არის გაწერილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, თუმცა რამდენიმე სილაბუსში, რომელიც სპეციალობას ეხება და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული, მაგალითად, ხმის რეჟისურის სილაბუსში გაწერილია, რომ ფასდება სტუდენტის ჯგუფში მუშაობა, ხმოვანება-გახმოვანების ტექნიკური შესრულება, ჩანაფიქრისა და ხმოვანი ფონის თანხვედრა. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება ჯგუფში სტუდენტის შეფასება, რადგან ეს კრიტერიუმები უმეტესად, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ჯგუფში მუშაობა არის ერთ-ერთი კრიტერიუმი, ასევე, არსებობს სხვა პროფესიული კრიტერიუმებიც, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ მუშაობას. თუმცა, მისი აზრით, ჯგუფში მუშაობას აქვს მნიშვნელოვანი როლი, თუნდაც თანამშრომლობის სწავლების კუთხით.

საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე, დაამატა, რომ თითოეული სტუდენტის როლი პროდუქტის შექმნაში თვალნათელია, იმიტომ, რომ მათ იციან მათი შესაძლებლობები.

საბჭოს წევრმა ოსტატობის სილაბუსებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტების რაოდენობა მკაცრად ვერ იქნება განსაზღვრული, რადგან ეს ყველაფერი დამოკიდებულია დატვირთვის დონეზე და ასათვისებელი მასალის რაოდენობაზე ანუ ამოცანაზე, შესაბამისად, ის ვერ დაეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას. ერთადერთი, რაც შეიძლება გაკეთდეს. არის მასალის გადახედვა, რომ მოხდეს მისი კრედიტების რაოდენობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კრედიტები და მასალა განსაზღვრული ჰქონდათ, გამომდინარე იქიდან, რომ მოსამზადებელი პერიოდი (იდეის დაბადებიდან, იურიდიული მომსახურება, სცენარის შედგენა) უფრო რთულია.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებული ინფორმაციით. როგორც ის ანგარიშიდან კითხულობს განახლდა და დაიხვეწა შემოქმედებით ტურზე აბიტურიენტთა შეფასების სისტემა და მისთვის საინტერესოა, თუ როგორ მოახერხეს და რაში გამოიხატება მათი ნაკლები სუბიექტურობა აბიტურიენტთა მიღების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მიღების კონტიგენტთან მუშაობის თვალსაზრისით, მისთვის მნიშვნელოვანია კანდიდატის უნივერსიტეტში ჩაბარებამდე შემოქმედებითი აქტივობა, რადგან ხანდახან გამოცდა მთლიანად ვერ ავლენს მის შესაძლებლობებს.
საბჭოს წევრი ჩაეკითხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, თუ კანდიდატს არ ჰქონდა პორტფოლიო მიიღებდნენ თუ არა ისინი ასეთ კანდიდატს, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთი კანდიდატი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ეს პროფესია საქართველოში არ არის შემოსავლიანი, საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების სურვილი უნდა ჰქონდეს ისეთ ადამიანს ვინც შეპყრობილია რაღაცის შექმნით.
საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება ობიექტურად კანდიდატის შეფასება, ანუ თუ არსებობს შეფასების რაიმე სისტემა, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აბიტურიენტის მისაღებად მათ აქვთ წერითი გამოცდა და შემდეგ გასაუბრება, სადაც ხდება აღნიშნული პორტფოლიოს წარდგენა. მისი თქმით, მისთვის საინტერესოა თუ რა არის კანდიდატისთვის მნიშვნელოვანი და რაში ხედავს პრობლემას, რადგან ისინი მსახიობებისგან განსხვავებით, ზრდიან დიქტატორებს გადასაღებ მოედანზე, რადგან მას შეეძლოს გადასაღები მოედანის მართვა, კანდიდატს უნდა ჰქონდეს განვითარებული ინდივიდუალიზმი და დამოუკიდებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ როგორც ორსონ ველსი ამბობდა „მე კინოს გადაღება შეიძლება 2 დღეში გასწავლო, თუმცა ამისგან ხელოვნება გააკეთო, ამას მთელი ცხოვრება სჭირდება“.
ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ არსებობს შეფასების 100 ქულიანი სისტემა, სადაც გაწერილია, მაგალითად, პრობლემის აღმოჩენა, გადაწყვეტა და ა. შ. მისი თქმით, ცდომილება არსებობს, რადგან ძნელია ადამიანის ნიჭის გაზომვა, თუმცა ეს სისტემა ცდომილების შემცირების საშუალებას იძლევა. რაც შეეხება გასაუბრებას, მან აღნიშნა, რომ ეს განწყობის შექმნაა აბიტურიენტისათვის, შეფასება კი 100 ქულიანი სისტემის დახმარებით ხდება.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ნაშრომების შეფასება ხდება ფილოლოგის მიერაც, რაც შეფასების კრიტერიუმში აღნიშნულია.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 18:04 სთ
დამთავრების დრო 18:09 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

„ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46]	„აუდიოვიზუალური ხელოვნება“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)
2	სტატუსი[47]	ავტორიზებული (2018 წლის 01 აგვისტო); უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბერის №13 გადაწყვეტილებით 2019 წლის 1 იანვარი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 32^2-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე (2020 წლის 01 იანვარი)
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11 დეკემბერი, 2013წ, №205; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს №08 – 2013 წლის 16 სექტემბერის №13
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48]	„აუდიოვიზუალური ხელოვნება“ (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[49]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[50]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51]	„-------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიო - ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება
10	კვალიფიკაციის კოდი[52]	0801
11	სწავლების ენა	ქართული

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[53]	საქართველო, 6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №37
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„-------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54]	„--------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----------„

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა 18:11 საათზე დატოვა სხომა.

5. მეხუთე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55]	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
2	სტატუსი[56]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 07 მარტი, №60
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57]	„-----„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[58]	საბაკალავრო-სამაგისტრო
6	კვალიფიკაციის დონე[59]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი

[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[55] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[56] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[57] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[58] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[59] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60]	I-VI კლასები - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება III-VI კლასები - საზოგადოებრივი მეცნიერებები
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114
10	კვალიფიკაციის კოდი[61]	0302
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
13	განხორციელების ადგილი[62]	საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა საკაძის ქუჩა №1
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 07 მარტი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2019 წლის 07 სექტემბერი)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2023 წლის 07 მარტი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რათა მათ წარმოედგინათ შესრულებული ანგარიში.

დაწესებულების წარმომადგენელთა პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გასცა სამი რეკომენდაცია, პირველი შეეხებოდა სასწავლო კურსის „განათლების კვლევის დიზაინი" სწავლის შედეგების გადახედვას, რომელიც გაცემული იყო ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, თვითშეფასებას თანდართული ჰქონდა სხვა სილაბუსი, რაც უნივერსიტეტმა გამოასწორა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სერვისების ცნობადობის ამაღლებას, რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა, ეწყობა შეხვედრები როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში ასევე, ვიწრო სკოლების ფარგლებში. არსებობს ახალი პრაქტიკაც, პრეზიდენტი დილით, 8 საათზე ხვდება სტუდენტებს

---

[60] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[61] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[62] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[63] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

ან პერსონალს და ეპატიჟება მათ ჩაისა და ყავაზე, რომლის ხარჯსაც უნივერსიტეტი საკუთარ თავზე იღებს და სადაც ხდება აზრების ურთიერთგაზიარება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მესამე რეკომენდაცია ეხებოდა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას, რასთან დაკავშირებითაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები, კერძოდ, შემუშავდა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების კითხვარი, რითაც ამ ეტაპზე შეფასდება ზედა ადმინისტრაციულ რგოლებზე დაქვემდებარებული პირები, დაგროვდა და დამუშავდა მონაცემები, დაიწერა ანგარიში. ამასთან ერთად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იგეგმება ერთმანეთთან დაკავშირებული რგოლების ურთიერთშეფასება და ხარვეზებზე რეაგირება. რაც შეეხება რჩევებს, პირველი რჩევა ეხება, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის გადამზადებას, რასთან დაკავშირებითაც დაიგეგმა გარკვეული ტრენინგები სკოლისა და უნივერსიტეტის ფარგლებში. სპეციალური კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება სამაგისტრო ხელმძღვანელების შერჩევა და საორიენტაციო შეხვედრები მათ გადასანაწილებლად. ისინი ასევე გაეცნობიან სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების რეგულაციას და გაერკვევიან, თუ რა მოთხოვნები უნდა ჰქონდეთ ხელმძღვანელებს, რა ანგარიშვალდებულება აქვთ ფაკულტეტის სკოლის ადმინისტრაციასთან და ა.შ.

ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უკვე გაწერილია აღნიშნული ტრენინგები. მეორე რჩევა ეხებოდა, სტუდენტთა სტიპენდიების სისტემის მოდიფიცირებას. საგანმანათლებლო პროგრამაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებზე კონკურენციის პირობებში გაიცემა სტიპენდიები, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ აქვთ სხვა ტიპის წახალისებებიც (ბენეფიტები), კერძოდ: პირველ 500 აბიტურიენტში მოხვედრილი აპლიკანტები ხდებიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფასო სტუდენტები, ზოგიერთ მათგანს უნახევრდება გადასახადი და აქვთ გარკვეული შეღავათები, შიდა გრანტები, თანამშრომლებზე ფასდაკლება და ა. შ. შესაბამისად, ისინი არ იზიარებენ ექსპერტთა რჩევას აკადემიური მოსწრების სტუდენტების მიმართ არსებული პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით.

შემდეგი რჩევა ეხებოდა, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასებას, რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტში უკვე შემუშავდა კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, რომელზეც გადავიდნენ სექტემბრიდან და მომავალი წლიდან არსებული პერსონალი შეფასდება ამ კრიტერიუმებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შემდეგი რჩევა ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებას, რაც შემუშავდა იმ მიდგომით, რაც ამ ეტაპზე უნივერსიტეტშია დანერგილი.

ექსპერტთა ჯგუფის მეხუთე რჩევა იყო სათაურში იმის დემონსტრირება, თუ რომელი საფეხურის კლასებისთვის იყო შემუშავებული კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც გასწორდა და მიეთითა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პირველ-მეექვსე კლასებს.

შემდეგი რჩევა ეხებოდა, სასწავლო კურსში „სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლებისა და შეფასების ეფექტური სტრატეგიები" ცვლილების განხორციელებას და შეფასების კურსის ცალკე გამოყოფას, ხოლო „დაგეგმვა და წარმართვის" ერთ სასწავლო კურსად გაერთიანებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, დაეფიქსირებინა მისი პოზიცია, აღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა „სასწავლო პროცესის დაგეგმვა სწავლებისა და შეფასების ეფექტური სტრატეგიები" სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას დაემატა 6 სალექციო საათი, პროფესიულ და საგნობრივ მოდულებში: საზოგადოებრივი მეცნიერებები, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა. მთლიანობაში დაემატა 102 სალექციო საათი, მათგან პრაქტიკის საათები დათმობილია აღნიშნული თემისთვის. გარდა იმისა, რომ კონკრეტულ სილაბუსში გაძლიერდა აღნიშნული თემა, საგნობრივადაც ყველა მოდულში დაფარულია. მისი მოსაზრებით, პედაგოგების განმავითარებელი შეფასება ნამდვილად რთულია, შესაბამისად, სასარგებლოა საგნობრივი ჭრილის ფარგლებში თემის განხილვა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო რჩევების განხილვა. მისი თქმით, მეშვიდე რჩევა ეხებოდა სასწავლო კურსში „კლასის მართვა თვითრეგულაციის უნარების

განვითარება“ სათაურში თვითრეგულირებადი უნარის განვითარების ამოღებას, რაც გაითვალისწინეს და შეცვალეს სასწავლო კურსის სახელწოდება, როგორც „კლასის მართვა“, რაც შინაარსს უფრო მიესადაგება. შემდეგი, მერვე რჩევა ეხებოდა სასწავლო კურსს „ბავშვის განვითარების ფსიქოლოგია“, რომელიც ანგარიშში შემთხვევითაა მითითებული და მის მაგივრად მითითებული უნდა იყოს „პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორია“, რაც საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში სწორად არის მითითებული და რასთან დაკავშირებითაც შესრულდა ექსპერტთა რჩევა და განახლდა ლიტერატურა. შემდეგი რჩევა ეხებოდა, ზოგადი ფსიქოლოგიის სასწავლო კურსის არჩევითიდან სავალდებულო ბლოკში გადატანას, რაც ასევე გაითვალისწინეს.

დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა თუ იყო ისეთი რჩევა, რომელიც არ ან ვერ გაითვალისწინეს, რაზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 13 ივნისის №34 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით სხდომაზე წარმოდგენილი იყო შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 13 ივნისის №34 ოქმის მე-4 ნაწილში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი, კერძოდ, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი უკავშირდებოდა იმას, რომ ჩანაწერი „6 თვის თავზე მონიტორინგი“ უნდა შეცვლილიყო „6 თვის თავზე ანგარიშით“, რაც შეეხება უნივერსიტეტის სახელწოდებას, „ბათუმის სასწავლო ხელოვნების უნივერსიტეტი“ უნდა შეცვლილიყო „შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტით“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საბჭოს 2019 წლის 13 ივნისის №34 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარე _____

ხელმოწერა

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საბჭოს გადაწყვეტილებით გასწორდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 ივნისის №34 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილში არსებული ტექნიკური ხარვეზი და ჩანაწერი „6 თვის თავზე მონიტორინგი" შეიცვალა „6 თვის თავზე ანგარიშით", ხოლო „ბათუმის სასწავლო ხელოვნების უნივერსიტეტი" - „შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტით".

საბჭოს თავმჯდომარე	ქეთევან ქოქრაშვილი
საბჭოს მდივანი	ნინო ლიპარტია
სხდომის მდივანი	სალომე თოთიბაძე